„ოქროს ჩარდახი“ იმერეთის მეფეთა სასახლე, ქ. ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში, მდ. რიონის სანაპიროზე დგას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებულ ქართული საერო არქიტექტურის ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ობიექტს რეკონსტრუქციისა და შეკეთებების შედეგად მნიშვნელოვნად სახეცვლილი აქვს იერსახე და თავდაპირველი (აუთენტური) მახასიათებლები. დღეის მდგომარეობით, სასახლედ წოდებული ნაგებობა ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლს უფრო მოგვაგონებს, რაც რიგი შეუსაბამობების შედეგია.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტიაცია აუცილებელია სამეცნიერო-კვლევით რეკომენდაციებსა და სარესტავრაციო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. სწორედ ამ მიზნით შესრულდა წარმოდგენილი სახელოვნებათმცოდნეო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა.

ქუთაისი, ოფიციალურად, ქალაქად 1811 წელს გამოცხადდა, თუმცა მისი ისტორია, უფრო ბევრად ადრეული პერიოდიდან იწყება. დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, ძვ. წ. III საუკუნიდან, ანტიკური ავტორები მას ძველი კოლხეთის სამეფო დედაქალაქად თვლიან (ძვ. წ. VIII ს.). არქეოლოგიური მონაცემებით, დღევანდელი ქუთაისის ტერიტორია და შემოგარენი უკვე ასი ათასი წლის წინ იყო დასახლებული. ძვ. წ. XV-XIII სს-დან აქ კოლხური კულტურის არსებობა დასტურდება. მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ ბორცვებზე ძვ. წ. VIII-VII ს-ის ვრცელი დასახლების კვალია შემორჩენილი.